დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

12 აპრილი, პარასკევი, 1991 წ.
№ 66 (10479) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ფიზკულტურა და სპორტი მთავრობის ყურადღების ცენტრში

### ადგილობრივი მმართველობის ორგანო:

„აწესებს საყოფ. კვების, საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო მომსახურების, კულტურის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, საბავშვო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის მომსახურების ხელსაყრელ პირობებს“... (თავი II, მუხლი 11).

### ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები:

„ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები გამოიყენება განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ფიზიკური კულტურის, სპორტის სფეროში, ადგილობრივი მეურნეობის განვითარებისათვის, ეკოლოგიური გაჯანსაღებისათვის და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შეხედულებით, საბანკო კრედიტისა და სხვა სესხების თანაბრად, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის საბიუჯეტო - სესხის, დოტაციის, სუბვენციის და სუბსიდიისათვის და სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებას“. (თავი II, მუხლი 16).

**გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონიდან.**

## პრეფექტი არის კეთილდღეობის სამსახურში!

# „ქნელი“ ინტერვიუ

**ვიდრე** ახალქალაქის პრეფექტ მამა თევდორესთან ინტერვიუს შინაარსს გაგაცნობდეთ, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი კოლეგები, რომლებიც რაიონებისა და ქალაქების ახალ მმართველებს „ლელოსათვის“ მასალის მოსამზადებლად ეწვევიან, ჩემზე უკეთეს ვითარებაში იქნებიან, ვინაიდან საქმე ექნებათ ეგრეთ წოდებულ სამოქალაქო პირთან, რომლისთვისაც ფიზკულტურულ-სპორტული თემა სულაც არ გახლავთ უცხო ხილი. მამა თევდორე კი, მოგეხსენებათ, სასულიერო პირია და თავიდან მასთან გამიჭირდა „მიწიერ“ თემებზე საუბარი. როგორც შემდგომ ცხადი გახდა, ეს მხოლოდ დასაწყისში. მერე საინტერესო, ცხოველი დიალოგი გაიმართა, გამოიკვეთა მთავარი თემაც — დღეს სულიერ სიწმინდესთან ერთად, ადამიანის ფიზიკური სრულყოფაც აუცილებელია. ამას თვით პრეფექტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და იმ აზრისაა, რომ დღეს საქართველოს მართლაც სჭირდება ძლიერი თაობა, რომელიც წინ აღუდგება, როგორც შინაურ მტერს, ასევე მომხდურს. ამიტომაც განზრახული აქვს ყურადღებით მოეკიდოს ჯანსაღი თაობის აღზრდის საქმეს. ამ მიზნით პრეფექტურაში შეიქმნება სპორტისა და ფიზკულტურის სამმართველო.

— სპორტშიც სიწმინდე უნდა იყოს, — თქვა მამა თევდორემ. — ვაჭრობს და საქმოსან მწვრთნელს არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო ამ დარგთან, მათი აზვირთებით ბავშვები არ უნდა დაგვეჩაგროს.

კითხვაზე — თავად რა დამოკიდებულება გქონიათ სპორტთან? — ასე მიპასუხა პრეფექტმა. — სიყრმის წლებზე არაფერს გეტყვით, ძველის გახსენება არ მიმაჩნია საჭიროდ; ამ ცოტა ხნის წინ კი, როცა წმინდა ნინოს გზით ქართლის სოფლებს დავუყევი — ნოსტეში საჭიდაო სარბიელი მაკურთხებინეს. ერთაწმინდის საფალავნოზე კი პატარა მოჭიდავეებში ორი ბიჭი მომეწონა. ახლა ვერ გეტყვით, რატომ გამოვარჩიე ისინი თანატოლებში, მაგრამ, როგორც გაირკვა, ძმები ყოფილან, გვარად კართაგენელები. დავლოცე, ჯვრებიც ვაჩუქე.... ვფიქრობ, ჩვენს სოფლებშიც, კერძოდ უდეში, არალში, ვალეში იქნებიან ასეთი კართაგენელები. მათ მიხედვა და ყურადღება სჭირდებათ.

● **სპორტსმენთა ლოცვა-კურთხევა ახსენეთ... ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ, ისევე, როგორც საერთოდ ჩვენს ცხოვრებაში, სპორტშიც ჩაგმობილი იყო ღმერთი და, თუკი რომელიმე სპორტსმენს შენიშნავდნენ, რომ იგი ჯვარს ატარებდა, ან სარბიელზე გასვლის წინ პირჯვარს გადაისახავდა, კომკავშირულ მუშაკთა რისხვას ვერ გადაურჩებოდა, რასაც ამა თუ იმ სპორტსმენის სრული დასამარება მოჰყვებოდა — ახე მოექცნენ, მაგალითად, ჩვენს მოჭიდავეს ვახტანგ ბლაგიძეს, რომელმაც ოლიმპიური თამაშების ფინალური შეხვედრის წინ პირჯვარი გადაიწერა.**

— ლოცვა, პირველ ყოვლისა, ნათელ ძალებს გულისხმობს და ზეციურ მისწრაფებებს ემყარება. ადამიანის შრომას (სპორტიც შრომაა), რომელსაც თან ლოცვა არ ახლავს, სატანური ძალები ამოძრავებს. თვით ოლიმპიურ ფიცში ხომ ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ, „გავიმარჯვებ პატიოსან ბრძოლაში!“ ამდენად, სპორტული პაექრობა ურთიერთმტრობას კი არა, პატივ-

ის. მე-3 გვ.

## ეს-ესაა შევიტყვეთ...

### საბატინის მილიონები და მესხის ერთკვირიანი დღესასწაული

**ჰილტონ-ჰედ** აილენდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის შედეგს საინტერესო კომენტარი დაურთო „იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის“ კორესპონდენტმა. აი ისიც:

— გაბრიელა საბატინი ჩოგბურთის ისტორიაში მეხუთე ქალია, რომელსაც საპრიზო ჰონორარის სახით მიღებული აქვს 4 მილიონ დოლარზე მეტი. მანამდე „4 მილიონიანთა კლუბის“ წევრები იყვნენ მარტინა ნავრატილოვა, კრის ევერტი, შტეფი გრაფი და პემ შრაივერი. გასულ კვირას გაბრიელამ „ფემილი სერკლ კაპის“ გათამაშების ფინალში დაამარცხა თბილისელი ლელა მესხი— 6:1, 6:1.

20 წლის საბატინის, რომელიც წლეულს საუცხოო სპორტულ ფორმაშია, ფინალური შეხვედრის მოსაგებად 71 წუთი დასჭირდა. წლეულს ეს უკვე მესამე ტურნირია, რომელსაც არგენტინელი ბრწყინვალე სტილში იგებს.

— ფინალში გამარჯვების შემდეგ გაბიმ მიიღო 100 ათას დოლარის ჩეკი და სპორტული მანქანა —„მაზდა მიატა“. გახარებულმა ჩოგბურთელმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩემი აზრით, ახლა ისე ვთამაშობ, როგორც არასდროს. ამიტომ ყველამ კარგად იცის, რომ დღეს ჩემი დამარცხება არც ისე იოლი საქმეა“.

— ტურნირში მეცხრე ნომრად განთესილმა ლელა მესხმა თავის თავს ერთკვირიანი ლამაზი დღესასწაული მოუწყო: სტარტზე თერთმეტი რიგითი გამარჯვების შემდეგ მან ჯერ უძლიერესთა ათეულის წევრი ჯენიფერ კაპრიატი გაანადგურა, შემდეგ კი მარტინა ნავრატილოვასაც აჯობა. მსოფლიოს მეჩვიდმეტე ჩოგანის ბიოგრაფიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ათეულის მოთამაშეებს ამარცხებს. მარტინა ნავრატილოვამ გულითადად მიულოცა გამარჯვება მეტოქეს.

— ნავრატილოვასთან გამარჯვების შემდეგ მესხი ოდნავ დაღლილი ჩანდა (ეს შეხვედრა წვიმის გამო მეორე დღისათვის გადაიდო. ისე რომ, ერთი დღით გახანგრძლივებული დაუმთავრებელი ბრძოლით გამოწვეული ნერვული სტრესი), მაგრამ მაინც ნატალია ზვერევასაც შედარებით მშვიდად მოუგო. ლელა მესხი ობიექტური ჩოგბურთელია, რომელმაც ფინალის წინ განაცხადა: „საბატინისთან საბრძოლველად არა ვარ მზად“. თამაშის შემდეგ კი თქვა— დღეს საბატინის წინააღმდეგ არანაირი შანსი არ მქონდაო.

ბოლო სიტყვა ამ ტურნირზე, ტრადიციულად, გამარჯვებულს მივცეს;

— მონიკა სელეშის პირველ ადგილს მსოფლიო რეიტინგში, ჩემი დღევანდელი სპორტული ფორმა მირჩევნია. მთავარი ის კი არ არის, რომ ფული და მანქანა მოვიგე, მთავარია, საგრძნობლად გავაუმჯობესე თამაშის დონე და ახლა ჩოგბურთისაგან მხოლოდ სიამოვნებას ვიღებ.

**ის. მე-4 გვ.**

# თანამედროვე ოლიმპიადები—პირველიდან ოცდამეხუთემდე

### მსოფლიო გამოფენის ჩრდილში

**ათენმა** ბრწყინვალედ უმასპინძლა თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებს. ამით გადიდგულებულმა ბერძნებმა ყველა მომდევნო ოლიმპიადის მათ ქვეყანაში ჩატარება მოითხოვეს. ამის თაობაზე, საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელი პიერ დე კუბერტენი წერდა: „ბერძნებს დიდი სურვილი აქვთ შექმნან თანამედროვე ოლიმპია. გასაგებია, რომ ამ იდეას ისინი დიდი სიყვარულითა და სასოებით ელოლიავებიან, მაგრამ თამაშების მუდმივად ერთ ქვეყანაში ჩატარება სამუდამოდ მოსპობდა ოლიმპიის სულს, პრინციპებს, იდეას. ამიტომ, ჩვენ ასეთ გადაწყვეტილებას მხარს ვერ დავუჭერთ“.

პიერ დე კუბერტენს მიემხრო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა დიდი უმრავლესობა და გადაწყდა, რომ II თამაშები საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ჩაეტარებინათ. მაგრამ, როგორც შემდგომში გაირკვა, ეს დიდი შეცდომა იყო. საფრანგეთის მთავრობას არ აღმოაჩნდა სახსრები ოლიმპიადისთვის, ვინაიდან იმ წელს (1900) პარიზში მსოფლიო გამოფენას აწყობდა. მაგრამ თამაშების გადატანა სხვა რომელიმე ქვეყანაში უკვე დაგვიანებული იყო და ოლიმპიადა მსოფლიო გამოფენის უფერულ დანამატად გადაიქცა. იგი მთელი 5 თვის მანძილზე გაგრძელდა (1900 წლის 20 მაისი — 28 ოქტომბერი). მძლეოსანთა და ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებები, მაგალითად, მოეწყო ივნისში, ცურვა და ნიჩბოსანთა რეგატა — აგვისტოში, ველოსიპედისტთა ტურნირი — სექტემბერში და ა. შ.

წმინდა სპორტული თვალსაზრისით, პარიზის ოლიმპიადა კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად ითვლება, რომელმაც ცხადყო თამაშების პოპულარობის შემდგომი ზრდა. ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო 21 ქვეყნის 1330-მა სპორტსმენმა, მათ შორის, თერთმეტმა ქალმა. საგრძნობლად გაიზარდა სპორტული პროგრამა: წინა თამაშებს დაემატა წყალბურთი, აკადემიური ნიჩბოსნობა, ცხენოსნობა, აფროსნობა, [რაგბი,] მშვილდოსნობა, ფეხბურთი, გოლფი, კრიკეტი, კროკეტი, პოლო (სამაგიეროდ, ოლიმპიადის პროგრამიდან დროებით ამოიღეს ჭიდაობა და ძალოსნობა).

დამატებულ სახეობებში პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ:

**წყალბურთში** — დიდი ბრიტანეთი.

**გოლფში** — ვაჟები — ჩ. სანდე (აშშ), ქალები — მ. ებოტი (აშშ).

**აკადემიურ ნიჩბოსნობაში** — ა. ბარლე (საფრანგეთი).

**ცხენოსნობაში** (დაბრკოლებების გადალახვა) — ე. ჰეგემანი (ბელგია).

**კრიკეტში** — საფრანგეთი.

**კროკეტში (ერთეულთა თანრიგი)** — რ. ემუა (საფრანგეთი).

**აფროსნობაში (ღია კლასი)** — დიდი ბრიტანეთი.

**პოლოში** — დიდი ბრიტანეთი.

**რაგბიში** — საფრანგეთი.

**მშვილდოსნობაში** — ა. ერუენი (საფრანგეთი).

**ფეხბურთში** — დიდი ბრიტანეთი.

ათენის ოლიმპიადის პროგრამაში ჩართული იყო ტყვიის მსროლელთა შეჯიბრება. პარიზში მას მესტენდურეთა ტურნირიც დაემატა. პირველი ჩემპიონი ცოცხალ მტრედებზე სროლაში გახდა ბელგიელი ლ. დე ლუნდენი.

პარიზში გაირკვა ქალთა შორის პირველი ოლიმპიური ჩემპიონის ვინაობაც. ესაა ინგლისელი შირლი კუპერი, რომელმაც ერთეულთა შეჯიბრება მოიგო.

პარიზის II თამაშების საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია ამერიკელი მძლეოსანი ალვინ კრენცლეინი, რომელმაც ოთხი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა: 60 მეტრზე რბენაში — 7,0 (მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდი), 110 მეტრზე თარჯრბენში — 15,4 (ოლიმპიური რეკორდი), 200 მეტრზე თარჯრბენში — 25,4 (ოლიმპიური რეკორდი) და სიგრძეზე ხტომაში 7 მ. 18 სმ. (ოლიმპიური რეკორდი).





პარიზი, 1900 წელი; ოლიმპიური ჩემპიონი ცხენით სიმაღლეზე ხტომაში, ფრანგი მხედარი დანიელ გარდნერი.




პარიზის მსოფლიო გამოფენის სპორტული პროგრამის აფიშა.

პარიზის ოლიმპიადის საუკეთესო სპორტსმენი, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი ალვინ კრენცლეინი.



მეორე ოლიმპიადის მედლები 18 ქვეყნის სპორტსმენებზე განაწილდა. გთავაზობთ პირველ ექვსეულს:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 26 | 36 | 33 |
| აშშ | 20 | 15 | 16 |
| დიდი ბრიტანეთი | 17 | 8 | 12 |
| ბელგია | 5 | 6 | 3 |
| შვეიცარია | 5 | 3 | 1 |
| გერმანია | 4 | 2 | 2 |

## თქვენ რას იტყვით, კოლეგა!

**მოძრაო ტანისა, ჩაწერილი, ენერგიულად საუბრობს. ხელებსაც შეაშველებს ხოლმე სიტყვას. იქნებ შეგიმჩნევიათ, კიდეც ქუჩაში, ნაცნობი მარშრუტით „თავისუფლების მოედანი — ვერა" უყვარს სიარული, ხანამ ჩვენი გამომცემლობის კარს მიადგება. ვის არ შეხვდება გზაში, ნაცნობმეგობარს ბატონ ერემიას აბა რა გამოულევს. რას არ გაიხსენებენ, რას არ იტყვიან; ზოგჯერ საათობით დგანან აშოლტილი ჭადრების ქვეშ. არც გაემტყუნება — 75 წელს მიღწეული ერემია მახათაძე კარგა ხანია პენსიაზეა და ბევრი რამ აქვს გასახსენებელი. თუნდაც ის პერიოდი, როდესაც გაზეთ „ლელოს" რედაქტორად მუშაობდა. კარგა ხნის წინათ იყო ეს — ბარე სამი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ...**

— ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გახლდათ ჩემთვის „ცეკაში" გამოძახება და „ლელოს" რედაქტორად დანიშვნა. გაზეთის პირველი რედაქტორი მიხეილ კაკაბაძე „მოლოდოი სტალინეცში" გადაიყვანეს რედაქტორად და მისი ადგილი მე შემომთავაზეს. „შემომთავაზეს" — ახლა ვამბობ, თორემ მაშინ სულ სხვა დრო იყო და არავის ეკითხებოდნენ — უნდა იმუშაო, მორჩა და გათავდა! ცხადია, ასეთი შესანიშნავი რედაქტორის „ნაკვალევზე" მისვლა დიდი პატივი იყო და მეტად რთულიც, საერთოდ კი მიმაჩნია: ყველა ჟურნალისტი რომ „გადაგვადულო", მიშა კაკაბაძის „წონა" მაინც არ ვიქნებით, ასეთი დიდებული ადამიანი და ბრწყინვალე ჟურნალისტი სხვა არ მეგულება. კარგია, რომ ლელოელები არ ივიწყებენ ბატონ მიშას ღვაწლს და რედაქციასთან გახსნეს მისი სახელობის სტუდია, სადაც ახალგაზრდა ჟურნალისტები ოსტატდებიან. „ლელო" ხომ მისი პირმშო იყო, იმთავითვე რომ ყველასათვის საყვარელი გახდა. აი, სწორედ ამ გაზეთზე უნდა მეფიქრა მე მაშინ.

● **მანამდე სად მუშაობდით, თუ გქონდათ რაიმე საერთო ჟურნალისტიკასთან, კერძოდ, სპორტზე თუ წერდით?**

— რაც ჩემი თავი მახსოვს, სულ პრესაში ვმოღვაწეობდი. ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევიდან ვარ. იქ ვსწავლობდი შვიდწლედში, მერე საშუალო პედაგოგიური განათლება მივიღე ჭიათურაში. პირველი კორესპონდენცია მშობლიური სოფლის შესახებ გაზეთ „მუშაში" გამოქვეყნდა. მერე რედაქციაში კიდევ პატარ-პატარა მასალებს ვგზავნიდი, ძირითადად ჩემი სოფლის ცხოვრებაზე. ზოგჯერ ლექსებსაც ვწერდი. სიხარულით ცას ვეწიე, როდესაც ჩემი ლექსი „ალღუმზე მიგვიხარია..." გაზეთ „ფიზკულტურელში" (მოგეხსენებათ, იყო ასეთი გაზეთი, „ლელოს" წინამორბედი) დაიბეჭდა. რედაქტორმა ვადა დევაძემ ჩემი კიდევ რამდენიმე მასალა გამოაქვეყნა, თუმცა ლექსი აღარ დაბეჭდალა. სტუდენტობისას (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვსწავლობდი აგრონომიულ ფაკულტეტზე) კომკავშირიდან გამრიცხეს („ანტიპარტიული ლაყბობისათვის"), და, ცხადია, კარგა ხანს პრესაში აღარ ვმოღვაწეობდი. მასწავლებლობა დავიწყე: ჯერ ჭიათურის რაიონის სოფელ ნავარძეთში, მერე კი ზესტაფონის რაიონის სოფელ სანახშირეში ვასწავლიდი დაწყებით სკოლაში. ძველმა სიყვარულმა მაინც იძალა: კვლავ დავიწყე გაზეთებში მოღვაწეობა. ჯერ „ახალგაზრდა კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი გავხდი შიდა ქართლში, მერე „საბჭოთა აფხაზეთის" კორესპონდენტად ვმუშაობდი გაგრაში, სადაც მწერალი ელიზბარ უბილავა შევცვალე. მოგვიანებით, თბილისში გადმოსულმა, „მოლოდოი სტალინეცის" სოფლის ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ დავიწყე მუშაობა, მერე საქდესში გადმოიყვანეს რესპუბლიკური ინფორმაციის განყოფილების გამგედ. სპორტზე, რომ იტყვიან, „შიგადაშიგ" ვწერდი — მეტწილად ცხენოსნობაზე, ლელობურთზე, ტანვარჯიშზე...

● **ვიცით, რომ ომის მონაწილეც ხართ. ცხადია, იქაც თანამშრომლობდით დივიზიის გაზეთში?**

— ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის ჯგუფის მებრძოლი ვიყავი. ვლადიკავკაზის მისადგომებთან ვიბრძოდით. რა თქმა უნდა, საფრონტო გაზეთშიც ბევრს ვწერდი.

● **„მტერს" პირადად თუ გადაყრიხართ?**

— დაკითხვა ჩამიტარებია. ხუთი ენა ვიცი — ქართული, ინგლისური, გერმანული, რუსული და... მეგრული. ჩვენი ჯგუფი იმხანად (1943 წელს) დასავლეთ უკრაინის ქალაქ სტანდორფში იმყოფებოდა. მეავტომატეებმა ჩვენს მიწურში ტყვე გერმანელი გენერალი შიგელგლიასი მოიყვანეს. ახედა კედელს — სტალინის სურათი მოხვდა თვალში. პირდაპირ ელეთ-მელეთი ეცა. მისი დაკითხვა მე დამავალეს. გერმანულად ვესაუბრებოდი. „სად ისწავლეთ ასე კარგად ჩვენი ენა"? — შემეკითხა გენერალი — „ალბათ, ებრაელი ხართ, — ჟიდი?" ქართველი ვარ-მეთქი, ენა კი სკოლაში ვისწავლე, ჭიათურაში. „ვიცი, ვიცი — ეს მარგანეცის ქალაქია! მითხარით, ვინ იყო თქვენი მასწავლებელი?".

# მეორე

# რედაქტორი

ერთის მაგივრად ორი მყავდა: ვოლდემარ ქაჯაია და რებეკა ვაშაძე, ჩვენს კლასიკოსთან კონსტანტინე გამსახურდიასთან რომ სწავლობდა გერმანიაში. „იქნებ ისიც იცოდეთ, რომელ ქალაქში სწავლობდა?" აქ კი ამევსო მოთმინების ფიალა: კაცო, დაკითხვას შენ აწარმოებ თუ მე?! შემატყო, რომ მოთმინებიდან საბოლოოდ გამოვედი და, არ დამახრჩოსო, იქვე რუსული მოიშველია. სუფთა რუსულით ლაპარაკობდა, მგონი ჩემზე კარგად. შე კაცო, რას მაწვალებდი ამდენ ხანს — რუსული თუ იცოდი, ასე გეთქვა მეთქი! ორივემ ბევრი ვიცინეთ. ირგვლივ ყველა ხარხარებდა.

● **„ლელოში" თქვენ 1952 წლის 1 მარტს მოხვედით, მეორე დღეს კი, კვირას უკვე გაზეთის ნომერს მოაწერეთ ხელი. „რედაქტორი ე. მახათაძე" ჩვენს გაზეთს უკანასკნელად 1953 წლის 22 თებერვალს აწერია ხელს. სულ ასზე მეტი ნომერი გაქვთ გამოცემული. „ლელო" ხომ იმხანად კვირაში ორჯერ გამოდიოდა — ოთხშაბათობით და კვირაობით, რედაქცია მაშინ ელბაქიძის დაღმართზე მდებარეობდა.**

— ჩემი მოსვლის პერიოდში იქ უკვე მუშაობდნენ ნოდარ გუგუშვილი, ბიჭიკო ქორქია, თენგიზ გიორგაძე, ეთერ უზნაძე, მიხეილ ზარგარიანი — „პროფესორად" რომ იცნობდა ყველა. „ახალგაზრდა კომუნისტიდან". ნიჭიერი ჟურნალისტი ოთარ იოსელიანი შემოგვიერთდა. მამა ცნობილი ექიმი ჰყავდა, რეპრესირებული იყო და ოთარს არც ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არ ნიშნავდნენ. ბევრი ვაი-ვაგლახი დაგვჭირდა, რომ იგი „ლელოს" პასუხისმგებელ მდივნად დაგვენიშნა. სხვათა შორის, სწორედ იოსელიანი დაუკავშირდა ჰელსინკის ოლიმპიადის დროს ტელეფონით მოსკოვს. გვიანი ღამე იყო, თითქმის გამთენია. საქმე ისაა, რომ ჩვენი სასიქადულო მოჭიდავე დავით ციმაკურიძე გადამწყვეტ შეხვედრას ატარებდა. ცხადია, მთელი საქართველო მოუთმენლად ელოდა ცნობას ჰელსინკიდან. იგი არც „ტასმა" მოგვაწოდა და არც საკავშირო რადიომ გადმოსცა უკანასკნელ ცნობებში. და აი, ტელეფონში ვადიმ სინიავსკის ნაცნობი ხმა გაისმა: „ვაშ ციმაკურიძე პობედილ!" მეტი არა გვინდოდა რა. გაზეთი გაჩერებული იყო. ამურის ცხრა წინასწარვე დამზადებული გვქონდა... დილით „ლელო" იუწყებოდა რომ ქართველი ფალავანი დავით ციმაკურიძე XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა. თავისუფალ ჭიდაობაში. ასე, ოთარ იოსელიანის წყალობით, ლელოელებმა საკავშირო პრესასაც კი დაასწრეს ამ ცნობის გამოქვეყნება.

● **მრავალი ცნობილი სპორტსმენი და სპეციალისტი მიიზიდეთ იმხანად გაზეთის ავტორად — ბორის პაიჭაძე, ვახტანგ კუზიანიძე, ვახტანგ ჭაფარიძე, კოტე ზაუტაშვილი, თორნიკე ხაჩებლიძე, შალვა ნოზაძე, მიხეილ ხერხეულიძე, ლევან გიორგაძე, აკაკი დოკვაძე, ივან ალიხანოვი, ანტუს გორელი, ლევან ფალავანდიშვილი; „ლელოს" ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალისტების: შალვა ჯიქიას, დავით მელუხას, კუკო უგულავას, ქართლოს კასრაძის, პავლე სახეჩიძის, პიმენ ლეთოდიანის, დავით გეგენავას, ივანე ზუზაძის მასალები; ბევრჯერ ვხვდებოდით გაზეთში „ერემაშვილის", „მაშოშვილის", „მინაშვილის", „მახარაშვილის" გვარებსაც. წინ მუდამ ინიციალი „ე" რომ ეწერა...**

— ჩემი ფსევდონიმები გახლდათ.

● **ერთი-ორჯერ გაზეთის რედაქტორს მასალაზე საკუთარი გვარიც მოგიწერიათ. აი, თუნდაც თქვენი ნარკვევი „მხატვრის ხელები" ცნობილი მოკრივის ბორის კალაძის შესახებ.**

— კარგად მახსოვს ეს მასალა. სხვათა შორის, სათაური ოთარ იოსელიანმა მოუგონა — ასე აჯობებსო, თითქოს ერთმანეთთან აკავშირებს მხატვარსა და მოკრივესო.

● **წარმოიდგინეთ, მეც დიდად მადლობელი ვარ თქვენი, რადგანაც სწორედ მაშინ დაიბეჭდა ჩემი, 17 წლის დამწყები ჟურნალისტის პირველი მასალა „ლელოში". ეს იყო ბატონ დავით მელუხასთან ერთად დაწერილი ფელეტონი „საკუთარი ვარიანტი", აგარაში გამართული ფეხბურთის მატჩის შესახებ. იმ პერიოდის „ლელოში" მთელი რიგი მივიწყებული სახელი გამომზეურდა — გიორგი ეგნატაშვილი და გაიოზ ბერელაშვილი, კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა, სოსო ახლანიშვილი და გიორგი ჩიკვაიძე, გულო რცხილაძე და გიორგი ბაბილოძე, ლევან ყანჩაველი და დიმიტრი იოსელიანი.**

— ცხადია, საქებარ მასალას ყველა სიამოვნებით ხვდება, მაგრამ, აი, თუ გააკრიტიკე ვინმე... მახსოვს, ერთხელ დისციპლინის დარღვევისათვის მკაცრად გავკიცხეთ ჩვენი საყვარელი ფეხბურთელი ვლადიმერ ელოშვილი. დილაადრიან დამირეკა რედაქციაში, მისაყვედურა, „ომიც გამომიცხადა", მაგრამ მოგვიანებით მაინც დავმეგობრდით და შეხვედრისას მუდამ ბევრს ვიცინოდით იმ ამბავზე.

● **დღეს სიამოვნებით ვფურცლავ ძველი „ლელოს" კომპლექტებს. აი, კრიტიკული რუბრიკა „ლახტის წრეში", აგერ განყოფილება „სპორტული გაზეთების ფურცლებზე", აგერ „ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები", „სოფლის სპორტი", „სპორტული ოსტატობის მწვერვალებისაკენ"; და აი, მოულოდნელად: „გენიალური რუსი მწერალი" (ნ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის გამო), „ადმირალი ნახიმოვი" (დაბადების 150 წლისთავზე მიძღვნილი) და სხვა...**

— დრო იყო ისეთი, გაზეთები მაშინ ამით „სიყვარულსა და პატივისცემას" უმტკიცებდნენ რუსეთს. ახლა, ცხადია, სხვა დროა და თანაც, ვფიქრობ, ამა თუ იმ გაზეთმა თავისი პირდაპირი საქმე უნდა აკეთოს, არ გადაუხვიოს თავის დანიშნულებას, დარგს, რომელსაც ემსახურება. აბა რას წარმოადგენდა თუნდაც ის ფაქტი, როდესაც ყველა გაზეთი ერთსულოვნად ბეჭდავდა გენერალური მდივნის სიტყვას?!.

● **კარგა ხანია მოსვენებას არ მაძლევს, რომ იტყვიან, პირდაპირ მღრღნის ერთი კითხვა. მოშიტვეთ და ახლა მაინც ეგება ნათელი მომფინოს მას: საქმე ის არის, რომ „ლელოში" თქვენი დანიშვნის შემდეგ გაზეთს თქვენი გვარი ეწერა, აი, მომდევნო ნომერს კი კვლავ „მ. კაკაბაძე". რა იყო ეს — უბრალოდ შეცდომა თუ ბატონი მიხეილი... ერთი დღით ისევ დააბრუნეს რედაქტორად?**

— არც ერთი, არც მეორე. ყველაფერი შეგნებულად მოხდა. დანიშვნის პირველ დღეს გაზეთზე ზემოდან მითითებით მომაწერინეს ჩემი გვარი, თუმცა ის ნომერი მთლიანად კაკაბაძის მიერ იყო მომზადებული. სინდისი მქეჯნიდა, ამიტომ გადავწყვიტე თავისებურად მომეხადა ვალი. მომდევნო ნომერს, რომელიც უკვე მე მოვამზადე, „მ. კაკაბაძე" მოვაწერე. დამერწმუნეთ, მაშინ ეს ერთობ სარისკო ამბავი იყო, შეიძლება გადავყოლოდი კიდეც ასეთ ურჩობას. მაგრამ „ცეკაში" უბრალოდ ვერ შეამჩნიეს ეს, ან, თუ გნებავთ, განგებ დახუჭეს თვალი. ერთი სიტყვით, დღესაც არ ვიცი. სიტყვამ მოიტანა და, ჩვენს ქართულ სპორტულ გაზეთს სამ წელიწადში (1994 წლის აპრილში) არსებობის 60 წელი უსრულდება, თავის დროზე რატომღაც „გამოგვრჩა" „ლელოს" ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, ეგებ ახლა მაინც...

● **„ლელოდან" თქვენი წასვლის მიზეზი?**

— „ცეკაში" გამომიძახეს პროპაგანდის განყოფილების გამგესთან გერასიმე ფირცხალავასთან. მან საქართველოს კომპარტიის მაშინდელ პირველ მდივანთან აკაკი მგელაძესთან შემიყვანა. მდივანმა მოკლედ მომიჭრა: „შენ, კაცო, თურმე აგრონომი ყოფილხარ და აბა რა გებურთავება და გერიკავება!" ახალი ჟურნალი უნდა გამოვცეთ — „საქართველოს მევენახეობა და მებოსტნეობა", რედაქტორად შენი დანიშვნა გვინდა". დამნიშნეს კიდეც მაგრამ ჟურნალი საერთოდ არ გამოსულა, მე კი სასწრაფოდ ...მრავალტირაჟიანი გაზეთის „საქართველოს მეხანძრის" რედაქტორად „გამამწესეს". ერთი წელიწადი ვიმუშავე იქ, სანამ ჟურნალ „საქართველოს კოლმეურნეს" რედაქტორად არ გადამიყვანეს. აქ კი მთელი შვიდი წელიწადი ვიმუშავე, მერე უცებ ეს ჟურნალიც გაქრა და მის ადგილზე გაზეთი „სოფლის ცხოვრება" აღმოცენდა.

უბრალოდ, სიტყვა-სიტყვით, გადმოთარგმნეს სახელწოდება „სელსკაია ჟიზნ". უნდა ვიფიქროთ, ახლა მაინც გამოიჩენენ მეტ ფანტაზიას და ჩვენი გლეხობის საყვარელ გაზეთს შესაფერის სახელწოდებას შეურჩევენ. სხვათა შორის, „სელსკაია ჟიზნის" კორესპონდენტადაც ვმუშაობდი ერთხანს.

● **ერთ დროს თქვენ „კოლოსის" საკუთარი კორესპონდენტი იყავით, მახსოვს, ბოროტი ენები ამბობდნენ, ერემია მახათაძე რაღაც გაუგებარი „კოლოსის" კორესპონდენტიაო. კაციშვილს არ უნახავს ეს გაზეთი თუ ჟურნალი...**

— საქმე ისაა, რომ ეს არც გაზეთი იყო და არც ჟურნალი. „კოლოსი" გამომცემლობა გახლდათ, იგი ოთხმოცდაათამდე ჟურნალსა და გაზეთს გამოსცემდა — „სელსკაია ნოვს", „ვინოგრადარსტვო ი ვინოდელიე" და სხვას. მე იქ რვა წელიწადი ვიმუშავე კორესპონდენტად ჯერ საქართველოში, მერე — ამიერკავკასიაში. ამ გამოცემებისათვის თვეში სამ-ხუთ მასალას ვამზადებდი.

● **თქვენი მეგობრებისაგან მსმენია, რომ ერთხელ საკავშირო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან გიორგი მალენკოვთანაც ყოფილხართ...**

— იყო ასეთი რამ: მალენკოვთან კაბინეტში მთელი ათი წუთი დავყავი. ეს მაშინ გახლდათ, ჟურნალი რომ უნდა გამოგვეშვა. მოგეხსენებათ, ქაღალდი ჩვენში მუდამ ჭირდა და მეც სწორედ საამისოდ მიმავლინეს მოსკოვში — ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში. მისმა გამგემ კოზლოვმა მინისაბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან საბუროვთან (მერე იგი დახვრიტეს ხრუშჩოვის დროს) შემიყვანა საკითხი რომ ვერ გადამიწყვიტეს, მოვითხოვე აუდიენცია... თვით მალენკოვთან.. როგორც ხედავთ, თითქმის კურიოზული სიტუაციაა, თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება.

● **დიდი იუმორით დაჯილდოებული კაცის — ერემია მახათაძის [illegible] ბევრი რამ გვსმენია, [illegible] რომ ძალიან გეხერხებოდათ თანამშრომლებზე [illegible] „გამოჯერა" [illegible] სახალისო ამბავი, აი ის, „პრავდის" ფელეტონს რომ ეხებოდა, ეგებ თქვენ უამბოთ ჩვენს მკითხველს?**

— საქმე შემდეგში იყო: ფელეტონი „გამოვაცხვე" და ერთ გავლენიან კაცს მივუტანე ვიზისათვის. წინასწარ ვიცოდი, რომ დამიწუნებდა, რადგან, ერთთავად სულ ჩემს წინააღმდეგ იყო განწყობილი. აიღო ხელში კალამი და კითხვას შეუდგა. თითქმის ყველა წინადადებას მისწორებდა, მასალა სულ გადმიფხაჭნა, — ეს რა დაგიწერიაო, განა ვინმეს შეიძლება მოეწონოს ასეთი სისულელეო?!. ვაცადე ცოტა ხანს, მერე ჩანთიდან დაკეცილი „პრავდა" ამოვიღე, გადავუშალე და ვუჩვენე „გ. რიკლინის" ხელმოწერით დაბეჭდილი ფელეტონი. აქ იგი, სისულელეა, ხომ — მივმართე დინჯად — ფელეტონი მთლიანად „პრავდიდან" გადმოვიწერე, მხოლოდ გვარები შევცვალე ქართულზე. მაშ, გამოდის, რომ „პრავდა" სისულელეს წერს, არა?! მოგეხსენებათ თუ რა დრო იყო მაშინ, უნდა გენახათ, რა მოუვიდა საწყალ „უფროსს" — ფერიფერი დაკარგა ერთბაშად, შიშისაგან ენა ჩაუვარდა. მე კი „გამარჯვებული" იერით ვიდექი და ახლა თავად ვუკითხავდი ჭკუას ჩემს წუთისწინდელ ჭკუის დამრიგებელს: რაც არაა გასასწორებელი, ნუ ჩხაპნი მაგ კალმით! ოთახში შეკრებილნი „მადიანად" იცინოდნენ.

● **დღესაც თვალწინ მიდგას თქვენი გაუთავებელი საჭადრაკო „ბატალიები" მეტად პოპულარულ ჟურნალისტთან, აწ განსვენებულ ბაკურ ბახტურიძესთან. მუდამ კინკლაობითა და „ხელჩართული" ბრძოლით მიმდინარეობდა თქვენი პაექრობა. მაინც როგორი იყო იმ „საუკუნის მატჩების" შედეგი?**

— გამოგიტყდებით, ბაკური მეტწილად მიგებდა. ანდა რა იყო გასაკვირი .იგი ხომ რეგულარულად ვარჯიშობდა ჭადრაკის ისეთ „ლაუძინებელ დიდოსტატებთან", როგორიც იყვნენ პოეტი ვარლამ ქურული და ჟურნალისტი მიხეილ მიქაძე. ისე კი, ბაკური თამაშის დროს ძალზე ჭინჭყლი იყო — მოჰკიდებდა ფიგურას ხელს, გააკეთებდა სვლას და... იქვე დააბრუნებდა პირვანდელ უჯრაზე. მე, რა თქმა უნდა, არ ვუთმობდი და იმართებოდა ერთი „გაწევ-გამოწევა". ისე კი, მართლაც შესანიშნავი პიროვნება და ჟურნალისტი იყო, პირდაპირი კაცი, ზოგჯერ მეტისმეტად ენაკვიმატი. კარგი მამის შვილი გახლდათ — ცნობილი ჟურნალისტისა და მწერლის პეტრე ბახტურიძის. საერთოდ იმხანად „კომუნისტში" ძალზე ნიჭიერი ჟურნალისტები მუშაობდნენ — ვაჟა ჯალაღანია, ვაჟა ჭანიშვილი, მიხეილ მიქაძე, გურამ სამსონაძე, ლერი კიკნაძე და სხვანი. დღეს რატომღაც ბევრს უნდა ჟურნალისტობა, მაგრამ განა ყველას შეუძლია ეს? ამისათვის ხომ განსაკუთრებული ნიჭია საჭირო. თუ წერა არ იცი, გაზეთის სტრიქონებს ნუ ეპოტინები. ერთ დროს ჩემს შვილებსაც უნდოდათ ჟურნალისტობა, მაგრამ რომ შევატყვე მათ საამისო მოწოდება არ ჰქონდათ, წერა „ავუკრძალე".

● **დღეს ჩვენს გაზეთში ახალგაზრდა ჟურნალისტები მოვიდნენ, ხომ არ უსურვებდით მათ რაიმეს?**

— ღირსეულად გააგრძელებინოთ „ლელოს" ტრადიციები, დიდებულ მიშა კაკაბაძისაგან რომ მოდის. ჩვენი დრო უკვე წავიდა, ახალგაზრდები მამებზე უკეთესნი უნდა იყვნენ, ჭეშმარიტად თავისუფალი საქართველო შექმნან. ერთს ვთხოვთ მხოლოდ: უყვარდეთ მოყვასნი, თავი დაანებონ ერთმანეთთან ქიშპობას, ვიწრო კუთხურობას, საერთო საქმე აკეთონ. აი, მაშინ ნამდვილად უძლეველნი ვიქნებით!. ქართველობა ახლა ხომ მართლაც გამოფხიზლდა. რაც შეეხება ჩვენს სპორტს, იგი, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი უნდა გახდეს. ღმერთსა ვთხოვ მალე მიგველწიოს ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა დამოუკიდებელი მონაწილეობისათვის.

ესაუბრა **ოთარ ნოზაძე.**



ევროპის ჩემპიონატი: ცოტა რამ ისტორიიდან

# ჰოლანდიელთა რევანში



**1986-88 წლების** კონტინენტის ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 33 ქვეყნის ნაკრებმა.

ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი მოეწყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1988 წლის 10-25 ივნისს. შესარჩევ ჯგუფებში შვიდ გამარჯვებულ გუნდს — ესპანეთს, იტალიას, სსრკ-ს, ინგლისს, ჰოლანდიას, დანიას, ირლანდიას, შეუერთდა მასპინძელი გფრ-ის ნაკრები. სპეციალისტების აზრით, ტურნირის ფინალში უძლიერესმა და თანაბარმა შემადგენლობამ მოიყარა თავი.

რვა გუნდი წილისყრით ორ ფინალურ ჯგუფში ასე განაწილდა: I ჯგუფი — გფრ, იტალია, ესპანეთი, დანია. II ჯგუფი — სსრკ, ჰოლანდია, ირლანდია, ინგლისი.

შეხვედრათა დააპულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ არც ერთ მატჩში ნულოვანი ფრე არ აღნიშნულა. მაყურებელთა დასწრებაც, წინა ჩემპიონატებთან შედარებით სარეკორდო იყო — 910 000. 15 მატჩში გავიდა 34 ბურთი, საშუალოდ 2,27 ერთ შეხვედრაში.

სატურნირო სტატისტიკა კი ასეთია: I ჯგუფი: გფრ-იტალია 1:1, ესპანეთი-დანია 3:2, გფრ-დანია 2:0, იტალია-ესპანეთი 1:0, იტალია-დანია 2:0, გფრ-ესპანეთი 2:0.

II ჯგუფი. ირლანდია-ინგლისი 1:0, ჰოლანდია-სსრკ 0:1, ჰოლანდია-ინგლისი 3:1, ირლანდია-სსრკ 1:1, სსრკ-ინგლისი 3:1, ჰოლანდია-ირლანდია 1:0.

ნახევარფინალები 21 და 22 ივნისს გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ გფრ და ჰოლანდია — 1:2, გერმანელებს ვერ უშველა „საკუთარმა კედლებმა“, მათ ვერ გაიმეორეს 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგი, ჰოლანდიელებმა კი დამაჯერებელი რევანში აიღეს ძველი დამარცხებისთვის, თანაც იმავე ანგარიშით. მარკო ვან ბასტენის მიერ 89-ე წუთზე გატანილმა გოლმა ჰოლანდიელები პირველად გაიყვანა ევროპის ჩემპიონატის ფინალში. მათი მეტოქე უნდა დაესახელებინა მეორე ნახევარფინალურ მატჩს: სსრკ-იტალია. ახალგაზრდა იტალიელებმა ვერაფერი გააწყვეს საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ და დამარცხდნენ — 0:2. ამრიგად, სსრკ-ის ნაკრები მეოთხედ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში.

ფინალური მატჩი — ჰოლანდია-სსრკ ჩატარდა 25 ივნისს, მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე. თამაშს დაესწრო 72300 მაყურებელი. მსაჯები: მ. ვოტრო, ჟ. ბიგე, რ. არელი (სამივე საფრანგეთი). შეხვედრა ჰოლანდიელთა უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით (2:0) დამთავრდა. გუნდების შემადგენლობა: ჰოლანდია — ჰ. ვან ბრეკელენი, ვან ტიგელენი, რ. კოემანი, ვან არლე, ვანენბურგი, მიურენი, გულიტი, მ. ვან ბასტენი, ე. კოემანი, რაიკაარდი, ვაუტერსი. მწვრთნელი: რ. მიხელსი.

სსრკ — დასაევი, დემიანენკო, ხიდიატულინი, რაცი, ოლეინიკოვი, ლიტოვჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი (პასულკო), ბელანოვი, მიხაილიჩენკო, გოცმანოვი (ბალტაჩა). მწვრთნელი: ვ. ლობანოვსკი.



გულიტი



ვან ბასტენი

გოლები: გულიტი (35-ე წუთი), ვან ბასტენი (55). გააფრთხილეს: ბელანოვი, ლიტოვჩენკო, ხიდიატულინი (სსრკ), ვაუტერსი, ვან არლე (ჰოლანდია).

რინუს მიხელსმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი რეპუტაცია. ჰოლანდიური ფეხბურთი ისევ აღორძინდა. ამის დასტური იყო ისიც, რომ მარკო ვან ბასტენი „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ხოლო მისი თანაგუნდელები გულიტი და რაიკაარდი შესაბამისად მე-2 და მე-3 ადგილებზე გავიდნენ. მარკო ვან ბასტენი ჩემპიონატის ბომბარდირიც გახდა 5 გატანილი გოლით.

**მიხეილ საბახტარიშვილი**



UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## პირველი ნახევარფინალური მატჩები

**10 აპრილს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი ნახევარფინალური მატჩები.**

### ჩემპიონთა თასი

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ოლიმპიკ მარსელი“ (საფრანგეთი) 1:3.
„ბაიერნი“ (მიუნხენი, გფრ) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) 1:2.

### თასების მფლობელთა თასი

„ლეგია“ (პოლონეთი) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) 1:3
„ბარსელონა“ (ესპანეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია) 3:1

### უეფა-ს თასი

„ბრონდბიუ“ (დანია) — „რომა“ (იტალია) 0:0.
„სპორტინგი“ (პორტუგალია) — „ინტერი“ (იტალია) 0:0

ამ გუნდების საპასუხო შეხვედრები გაიმართება 24 აპრილს.

## აჟლავ ხულიგნობენ

**ჩეხოსლოვაკიაში** კვლავ მოხდა დიდი საფეხბურთო სკანდალი: ერთმანეთს შეეჯახნენ პრაღის „სპარტასა“ და ოსტრავის „ბანიკის“ გულშემატკივრები. ეს ხელჩართული ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა: მატჩამდე, თამაშის მსვლელობისას და შემდეგაც. გულშემატკივართა ხულიგნობის შედეგად ერთმა ოსტრაველმა გულშემატკივარმა დანით 4 ჭრილობა მიიღო; დაჭრილია ორი პოლიციელი; დაშავდა ბევრი მაყურებელი. „სპარტის“ ფანატიკოსმა გულშემატკივრებმა, მეტოქეებს მისდიეს რკინიგზის სადგურამდე, სადაც კვლავ გაჩაღდა ბრძოლა. ხულიგნები ერთმანეთს ესროდნენ ბოთლებს; ურტყამდნენ რკინის ჯაჭვებს, დანებს, პოლიციამ ძლივს შეძლო მოჩხუბართა დაშავება და ახლა ჩეხოსლოვაკიის გაზეთებში შეშფოთებით წერენ: რა მოხდება, როცა „სპარტა“ საპასუხო თამაშზე გაემგზავრება ოსტრავაში?

ჩეხოსლოვაკიაში ბოლო ხანებში საფეხბურთო ხულიგნობამ საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია. გაზეთი „სმენა“ წერს, რომ ახლა აუცილებლად საჭიროა საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერება ფეხბურთის ამგვარი ვაიგულშემატკივართა მიმართ.





ამჯერად კი, „სპარტასა“ და „ბანიკის“ ფანატიკოსების ჩხუბის შემდეგ პოლიციამ 117 ხულიგანი დააკავა და მერე ყველანი გაათავისუფლა.

ფეხბურთის ნამდვილი მოყვარულები პოლიციისგან მოითხოვენ მეტი სიმკაცრის გამოჩენას და მკაცრ მოქმედებას ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ. ბრატისლავის „პრავდა“ აღნიშნავს, რომ ზოგიერთ სტადიონზე აუცილებლად უნდა აიკრძალოს თამაშები და, საერთოდ, პოლიციამ მეტი აქტივობით იბრძოლოს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

## დაუბრუნდება ბოშკოვი „რეალს“?

ყველასთვის კარგად არის ცნობილი, თუ რა არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა წლევანდელ სეზონში სახელგანთქმული ესპანური საფეხბურთო კლუბი მადრიდის „რეალი“. ახლა გუნდის ხელმძღვანელობა ყველაფერს ცდილობს „რეალის“ ავტორიტეტის აღსადგენად. „სპარტაკთან“ ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში დამარცხების შემდეგ თანამდებობიდან გადადგა მწვრთნელი, წარსულში სახელოვანი ფეხბურთელი ალფრედო დი სტეფანო. მაგრამ, როგორც ესპანური გაზეთები აღნიშნავენ, დი სტეფანოს შემცვლელი მხოლოდ ამ სეზონის ბოლომდე იმუშავებს, მომავალი წლიდან კი იმედოვნებენ, რომ „რეალს“ სათავეში კვლავ ვუიადინ ბოშკოვი ჩაუდგება. ეს ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტი, რომელიც ახლა იტალიის ჩემპიონატის ლიდერს — „სამპდორიას“ წვრთნის, ადრე მუშაობდა მადრიდის „რეალში“. ესპანეთში ახლა ხშირად იხსენებენ, რომ ბოშკოვის აქ მუშაობის პერიოდში „რეალმა“ გაიმარჯვა ქვეყნის ჩემპიონატში ესპანეთის ფეხბურთის ისტორიაში სარეკორდო ქულათა რაოდენობით — 60 შესაძლებლიდან 52 ქულა! და კიდევ ერთი რეკორდი: ბოშკოვის ხელმძღვანელობით ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართულ 51 შეხვედრაში „რეალი“ მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

როგორც ცნობილია, ვუიადინ ბოშკოვი უკვე 6 წელია მუშაობს „სამპდორიასთან“ და ეს კლუბი ახლა ძალიან ახლოს არის იმასთან, რომ თავის ისტორიაში პირველად მოიპოვოს იტალიის ჩემპიონის ტიტული. მიუხედავად ამისა, „სამპდორიას“ პრეზიდენტს მონტოვანის ჯერ არ შეუთავაზებია ბოშკოვისთვის კონტრაქტის გაგრძელება, რომლის ვადაც წლეულს, ივნისის ბოლოს იწურება.

თვითონ მწვრთნელი კი აცხადებს, რომ, თუ „სამპდორია“ მასთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებს, იგი სიამოვნებით დაბრუნდება მადრიდში და შეეცდება აღუდგინოს „რეალს“ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდის რეპუტაცია.

**მოამზადა მაია ბერაძემ.**

# „ძნელი“ ინტერვიუ

(დასასრული)

ისცემასა და სიყვარულს უნდა ნერგავდეს... გიყვარდეს მტერი შენი — გვამცნობს ერთ-ერთი მცნება. იგი, ალბათ, ყველაზე უფრო სპორტულ პაექრობას მიესადაგება.

● **ახალციხის პრეფექტს სრულიად მწირ ნიადაგზე არ მოუხდება სპორტული საქმიანობის დაწყება, რადგან აქ მყარი ტრადიციები არსებობს...**

— ყველაფერი კარგად ვიცი. კერძოდ, ალბათ, გულისხმობთ ჩვენს მძლეოსნებს, ძალოსნებსა და მოკრივეებს, რომლებიც საკმაო წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ და უფრო დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში. ახლახან, მაგალითად, აქაურმა ჭაბუკმა მოკრივემ დავით იაძემ ტაშკენტში გამართულ ოლიმპიური რეზერვისა და სპორტსკოლების საკავშირო პირველობაზე საპატიო მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა ქვემსუბუქ წონით კატეგორიაში.

ყველა ხმედისმომცემ სპორტსმენისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას გამოვიჩენთ და ყოველმხრივ დავეხმარებით, რათა მათ სხვებმაც მიჰბაძონ და ქუჩაში უაზროდ ხეტიალის ნაცვლად დარბაზებსა და სტადიონებს მიაშურონ.

● **[illegible] ცხოველი იხსენებდა, რომ სოფლურ ადათ-წესებსა და გართობაში პირველი მერცხალი ყველიერი იყო: ამ დროს იწყებოდა სპორტული შეჯიბრებანი: ჩალიჩი (ლახტი), დამიკარი, ხიმძიმეების აწევა (საჭიდაო ქვა). ამას მოსდევდა აღდგომა-ამაღლების დღეობები, აქ უკვე ჩაღდებოდა ჭიდაობა, დოღი, მიზანში სროლა, გაკვრა ბურთი. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ გვქონია რელიგიური ასპარეზობებიც, რომ ღვთის წყალობით ადამიანი მარტო სულიერად კი არა, ფიზიკურადაც იწრთობა, მაგრამ დამეთანხმებით, ეს დღესასწაულები ჩვენში მივიწყებულია.**

— მართალი ბრძანდებით, დღეს ყველიერის ჭიდაობები თუ იმართება აქა-იქ, ჩვენ კი რამდენი სააღდგომო თუ საშობაო ასპარეზობა გვქონია. ყველაფერს გახსენება, აღდგენა უნდა და, ალბათ, არც ჩვენ დავრჩებით განზე. ჯერ მარტო ღვთისმშობლის დღესასწაულს, რომელიც ჩვენში საფარობის დღეობითაა ცნობილი და სისტემატურად ტარდება, რა თქმა უნდა, ახალგაზრდების სიჩაუქეც დაამშვენებდა...

**ესაუბრა უშანგ ჭიჭინაძე, „ლელოს“ სპეც. კორ. ახალციხე.**

# „დიადი ზღვარი“ — „პარადოქსებით“ აღსავსე ხელოვნება



**„ვინცა დაეუფლა დე-ს —**
**ახალშობილს ჰგავს,**
**ქვეწარმავალი მას ვერ დაგესლავს,**
**ნადირი მას ვერ დაგლეჯს,**
**უცხ-ყორანი მას ვერ დაფლეთს...“**

**ლაო ძი**

ტრადიციული ჩინური გაგებით, ადამიანი ბუნების, სამყაროს ღვიძლი შვილია და მისი ორგანული ნაწილი: არ არსებობს ადამიანი სამყაროს გარეშე და სამყარო ადამიანის გარეშე (იგულისხმება როგორც მისი ფიზიკური სხეული, ისე მარადიული, უკვდავი სული). ადამიანი აუცილებელი რგოლია ტრიადისა: კოსმოსი-ადამიანი-დედამიწა, რამდენადაც ამ ქვეყნად მოწოდებულია კავშირი დაამყაროს კოსმოსსა და დედამიწას შორის — „კოსმოსიდან მიღებული სასიცოცხლო „ციენერგია“ გადასცეს დედამიწას; იმ ქვეყნად კი იგი თავად ერთვის კოსმოსს, მისი ნაწილი ხდება.

ამრიგად, ცოცხალი ადამიანის სხეული ერთგვარი „მრავალძარღვიანი გამტარის“ (გაიხსენეთ „მერიდიანები“ — სხეულში ცი-ენერგიის“ მიმოქცევის „არხები“) ფუნქცია აკისრია. ამ ფუნქციით ადამიანი, ერთი მხრივ, უტოლდება ყოველ სულიერს — ცხოველსა თუ მცენარეს, მეორე მხრივ კი მაღლდება მათზე, რადგან შეგნებულად იქმს (ან არ იქმს) ამას, გაცნობიერებული აქვს რა თავისი მისია (ან არ კისრულობს მის შესრულებას).

მაღალგანვითარებული ადამიანი (ლაო ძი მას „ყოვლადბრძენს“ ან „ბრძენთაბრძენს“ უწოდებს, კუნფუ-ძი — „კეთილშობილს“) უკვე არა მხოლოდ უბრალო „გამტარია“ „ცი-ენერგიისა“, არამედ მისი „ტრანსფორმატორიცაა“ — მას უნარი შესწევს, ესა თუ ის კონკრეტული სახე მისცეს ამ ენერგიას: ამა თუ იმ ფიზიკურ გამოვლინებად, ან სულიერ ფასეულობად აქციოს იგი.

მაგრამ „რაიმე რომ მოვიმკათ, ჯერ უნდა გავცეთ. ამას ჰქვია უმაღლესი სიბრძნე“... და ვიდრე ასეთ სრულყოფას მიაღწევდეს, ადამიანიც მრავალი წლის განმავლობაში ბეჯითად ილვწის, რათა საკუთარი „მე“ მიკროკოსმოსად აქციოს, ანუ მთლიანად გაითავისოს მაკროკოსმოსის უპირველესი კანონი და არსებობის პირობა — ჰარმონიულობა დაპირისპირებულ საწყისებს შორის. „ვინცა შეიცნო მამრობა თვისი — მანვე შეიცნო მდედრობა თვისი. იგი ველია სამყაროსი... ვინცა შეიცნო ნათელი თვისი... შეიცნო წყვდიადი თვისი. იგი ხატია სამყაროსი... ვინცა შეიცნო სიდიადე თვისი — მანვე შეიცნო სიმცირე თვისი. იგი შესაკრებელია სამყაროსი. ვინც შესაკრებელია სამყაროსი — უმაღლეს დე-ს ეუფლება და ბუნებითობას უბრუნდება“.

სამყაროს (როგორც მაკრო, ისე მიკროსამყაროს) სწორედ ასეთი ჰარმონიულობის სიმბოლოა ჩვენი მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილი „ინ-იან-ის“ ნიშანი.

ამ სისტემაში უმთავრესი ადგილი უჭირავს ორ ურთიერთდაპირისპირებულ საწყისს — სულიერსა და ხორციელს, ანუ, ფსიქიკურსა და ფიზიკურს.

...საფიქრებელია, რომ ამ ორი დაპირისპირებული საწყისის მიმართ განსხვავებულმა დამოკიდებულებამ თავის დროზე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა შემდგომი ბედი ორი უძველესი ჩინური ფილოსოფიური სისტემისა — კუნფუციზმისა და დაოსიზმისა. კუნფუციზმი (ანუ, როგორც ევროპაშია ცნობილი, კონფუცის მოძღვრება), რომელიც სულის, სულიერის პრიმატს აღიარებდა, ხორციელ საწყისს კი აკნინებდა და ადამიანებსაც ამ ნიშნით „კეთილშობილებად“ და „უბირებად“ ყოფდა, არასოდეს გამხდარა ხალხის ფართო მასებისათვის ახლობელი, მით უმეტეს — მოწიწების საგანი; ბოლომდე არისტოკრატთა ეთიკურ-პოლიტიკურ მოძღვრებად დარჩა და აკი ვერც გაუძლო ბუდიზმთან შეჯახებას: მოგვიანებით მთელი ფილოსოფიური სისტემიდან ჩინურ ეროვნულ თვითშეგნებაში მხოლოდ კონფუციური ესთეტიკაღა დაკრისტალდა.

მისგან საპირისპიროდ, დაოსიზმი თავიდანვე არათუ აღიარებდა ორივე საწყისის თანასწორუფლებიანობას, არამედ თავის ძირითად დებულებად მან აქცია აზრი, რომ მხოლოდ ჯანსაღ სხეულში შეიძლება ბუდობდეს ჯანსაღი სული, ამდენად, არ არსებობს ადამიანი „კეთილშობილი“ და ადამიანი-„უბირი“, არსებობს უბრალოდ ადამიანი, რომელიც — თუ „მორჩილებს დაო-ს“ და მის ძირითად კანონს — „ბუნებრიობას“ ანუ თანაბრად ზრუნავს ფიზიკური და სულიერი საზრდოსათვის და სულს ბორო...

დასაწყისი იხ. „ლელო“ № 62.

იხ. გვ. 4 გვ

# ეს-ესაა შევიტყვეთ...

## აიზია თომასი თამაშში და თამაშგარე მდგომარეობაში

**ნბა-ს** ჩემპიონატის სტარტზე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულ „დეტროიტ პისტონსს“ ასახელებდნენ. და მართლაც, პირველი მატჩები დეტროიტელმა კალათბურთელებმა ჩემპიონის საკადრისად ჩაატარეს, მაგრამ მალე გუნდს ჯერ ერთი საუკეთესო მოთამაშე გამოაკლდა, მერე მეორე, მესამე და დაიწყო წაგებათა სერია.

განსაკუთრებით გაუჭირდათ დეტროიტელებს იანვრის მიწურულს, როცა კარგა ხნით გამოვიდა მწყობრიდან გუნდის სული და გული აიზია თომასი. ეს ნამდვილი ტრაგედია იყო, ჩემპიონი ვერ იქნა და ვერ მოეგო გონს. ამასობაში, თომასს ნატკენი ხელის მაჯა მოუშუშდა და მწყობრში ჩადგა. მთლად მომჯობინებული იგი ჯერ არ არის, მაგრამ ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაში „მინესოტასთან“ თავის კოლექტივს 15 ქულა შეხძინა, თანაც 11 შედეგიანი პასი გააკეთა. არადა, თომასმა მატჩისთვის განკუთვნილი 48 წუთიდან მოედანზე დაჰყო მხოლოდ 33.

მომდევნო შეხვედრაში „ნიუ-იორკ ნიქსთან“ ლიდერმა ისე კარგად ვეღარ ითამაშა და „დეტროიტი“ დამარცხდა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ მოთამაშეთა მუდმივმა ტრავმებმა ეს შესანიშნავი კოლექტივი ამოაგდო რიტმიდან. შარშანდელმა ჩემპიონმა არცთუ ისე ცოტა — 30 მატჩი წააგო.

სხვათა შორის, საინტერესოა, რას ამბობენ თომასზე თანაგუნდელები.

**ბილ ლეიმბირი:** „იგი ყველასგან გამოირჩევა ფსიქოლოგიური სიმტკიცით. ამას კი გუნდისთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მის მიერვე მოტანილ ქულებს“.

**ჯიკ ლეილი:** „მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს დაშავებული იყო, აიზიამ შეინარჩუნა სათამაშო კონდიციები და გარკვეულწილად ფიზიკური ფორმაც. ეს ცხადი გახდა ტრავმის შემდეგ ჩატარებულ პირველსავე შეხვედრაში“.

გთავაზობთ ბოლო ტურის შედეგებს:

„ფილადელფია“ — „ნიუ-იორკი“ 100:84

„მაიამი“ — „ვაშინგტონი“ 112:106.

„კლივლენდი“ — „დეტროიტი“ 94:90.

„პორტლენდი“ — „სან-ანტონიო“ 105:100

„ჩიკაგო“ — „ინდიანა“ 101:96

„იუტა“ — „დალასი“ 97:91.

„სიეტლი“ — „ლოს-ანჯელეს კლიპერსი“ 140:108.

### აღმოსავლეთის კონფერენცია ატლანტის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „ბოსტონი“ | 54 | 21 | 72[illegible] |
| „ფილადელფია“ | 43 | 33 | 506 |
| „ნიუ-იორკი“ | 36 | 41 | 468 |
| „ვაშინგტონი“ | 27 | 49 | 355 |
| „ნიუ-ჯერსი“ | 23 | 53 | 303 |
| „მაიამი“ | 23 | 53 | 303 |

### ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩიკაგო“ | 57 | 20 | 740 |
| „დეტროიტი“ | 47 | 30 | 610 |
| „მილუოკი“ | 46 | 30 | 605 |
| „ატლანტა“ | 41 | 35 | 539 |
| „ინდიანა“ | 38 | 39 | 494 |
| „კლივლენდი“ | 29 | 48 | 377 |
| „შარლოტა“ | 23 | 54 | 299 |

### დასავლეთის კონფერენცია შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „სან-ანტონიო“ | 51 | 25 | 671 |
| „იუტა“ | 50 | 26 | 658 |
| „ჰიუსტონი“ | 49 | 26 | 653 |
| „ორლანდო“ | 28 | 47 | 373 |
| „დალასი“ | 26 | 50 | 342 |
| „მინესოტა“ | 24 | 51 | 320 |
| „დენვერი“ | 19 | 57 | 250 |

### წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტლენდი“ | 59 | 18 | 766 |
| „ლ.-ა. ლეიკერსი“ | 55 | 21 | 724 |
| „ფენიქსი“ | 51 | 25 | 671 |
| „გოლდენ სტეიტი“ | 39 | 38 | 506 |
| „სიეტლი“ | 38 | 38 | 500 |
| „ლ.-ა. კლიპერსი“ | 30 | 47 | 390 |
| „საკრამენტო“ | 22 | 53 | 293 |

## ევროპის ფეხბურთი ერთ მწკრივში

ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები დამთავრდა ასე:

### ჰოლანდია

„ჰერენვენი“ — „დენ ჰააგი“ 3:0, რხკ — „როდა“ 4:1, „ფეიენორდი“ — „ტვენტე“ 2:2, „გრონინგენი“ — „ფორტუნა“ 3:1, „ვოლენდამი“ — „ვილემ II“ 0:0, „უტრეხტი“ — „ვიტესი“ 1:1, ნეკ — სვვ 2:1, მვვ — „სპარტა“ 0:0, „ეინდჰოვენი“ — „აიაქსი“ 4:1.

### საფრანგეთი

„სენტ ეტიენი“ — „ტულუზა“ 1:4, „მონპელიე“ — „ლილი“ 1:2, „ოსერი“ — „კაენი“ 3:0, „ნიცა“ — „ლიონი“ 1:1, „სენ ჟერმენი“ — „მონაკო“ 0:2, „სოშო“ — „კანი“ 0:0, „ნანსი“ — „ბორდო“ 0:2, „რენი“ — „ნანტი“ 2:0, „ტულონი“ — „მეცი“ 2:1.

### ბულგარეთი

„ლოკომოტივი“ (პლოვდივი) — „სლავია“ 1:1, „ლოკომოტივი“ (სოფია) — „პირინი“ 3:1, „ჩერნომორეცი“ — „ხლივენი“ 2:0, „მინიორი“ — „ბოტევი“ 3:2, „ეთირი“ — ცსკა 1:1, „დიევსკი“ — „გორნა ორიახოვიცა“ 2:1, „ბეროე“ — „იანტრა“ 1:1.

### დანია

„ლუნგბიუ“ — „ფრემი“ 1:1, აგფ — „ბ-1903“ 2:1, ობ — „იკასტი“ 3:0, „სილკებორგი“ — „ვეილე“ 0:0, „ბრონდბიუ“ — ააბ 2:2.

### პოლონეთი

„რუხი“ — „ლეხი“ 2:1, „სტალი“ — „იგლოპოლი“ 2:0, „პუტნიკი“ — ლკს 5:0, „ზაგლებიე“ (სოსნოვეცი) — „ზავიშა“ 1:0, „ზაგლებიე“ (ლუბინი) — „გურნიკი“ 2:1, „ოლიმპია“ — გკს 3:0, „სლასკი“ — „ვისლა“ 0:0, „მოტორი“ — „ლეგია“ 0:2.

### შვეცია

„მალმიო“ — „გიოტებორგი“ 1:1, „ესტერი“ — „ერებრუ“ 1:1, „გაისი“ — „სუნდსვალი“ 1:1, „ჰალმსტადი“ — „აიკი“ 0:1, „იურგორდენი“ — „ნორჩეპინგი“ 0:3.

### შვეიცარია

**ფინალური ტურნირი.** „ქსამაქსი“ — „სერვეტი“ 1:0, „ლოზანა“ — „იანგ ბოისი“ 1:3, „ლუგანო“ — „სიონი“ 1:1, „ლუცერნი“ — „გრასჰოპერსი“ 0:3.

### ალბანეთი

„სკენდერბეუ“ — „კასტრიოტი“ 0:2, „ტომორი“ — „ბესა“ 0:0, „პარტიზანი“ — „ვლაზნია“ 1:0, „ფლამურტარი“ — „დინამო“ 1:0, „აპოლონია“ — „ლოკომოტივი“ 0:0, „ლაბინოტი“ — „ლუფტეტარი“ 1:1.

### ბელგია

„კარეგემი“ — „გენტი“ 3:0, „ბეერშოტი“ — „კურტრე“ 0:4, „სტანდარდი“ — „ანდერლეხტი“ 1:2, „შარლერუა“ — „ეკერენი“ 0:2, „გენკი“ — „სერკლი“ 3:0, „ლოკერენი“ — „ანტვერპენი“ 0:3, „მეხელენი“ — „სენტ ტრიუდენი“ 4:0, „მოლენბეკი“ — „ლიეჟი“ 2:0, „ბრიუგე“ — „ლიერსი“ 1:1.

## სამდურავი ჟურნალისტებს

### ვის რა აწუხებს — ...

ხომ გახსოვთ, როგორი ფურორი მოახდინა მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში კამერუნელი ფეხბურთელების გამოსვლამ. ამის შემდეგ არაერთ კამერუნელ ოსტატს გზა გაეხსნა ევროპული კლუბებისკენ, ჟურნალისტები კი ყურადღებას არ აკლებენ მათ.

— ორი რამ მაინც ძალიან მაბრაზებს, ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს — განაცხადა ცნობილმა კამერუნელმა ფეხბურთელმა ფრანსუა ომამ ბიიკმა — როცა მეკითხებიან, მაიმუნებს თუ ჭამთ, ან თქვენს ქვეყანაში ექიმები თუ არიანო.

## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1991 წლის მე-13 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** დაშვებულია 1.292.968 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცნია და ამიტომ ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები ფონდი 9.697 მანეთის ოდენობით დაემატება მე-14 ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს, რომლის თანხაც გაიზარდა 38.156 მანეთამდე. 5 ნომრის გამოცნობისათვის (22) მოგება 3.984 მანეთია, ოთხისთვის (1.255) — 180.

საქართველოში: დაშვებულია 33.038 ვარიანტი. 6-0. 5-0. 4-20.

**„სპორტლოტო 5 36-დან:** დაშვებულია 20.602.614 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისათვის (112) მოგება 5.519 მანეთია, ოთხისთვის (12.175) — 83. სამისთვის (291.441) — 5.

საქართველოში: დაშვებულია 499.441 ვარიანტი. 5-12, 4-274, 3-7.141.

მე-13 და 4-13 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 20 აპრილიდან 20 მაისის ჩათვლით.

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1991 წლის მე-13 ტირაჟის შედეგები.

დაშვებულია 3.126,858 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (14) მოგება 3.722 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისათვის (342) — 304, 11 შედეგის გამოცნობისთვის (3.636) — 100.

საქართველოში: დაშვებულია 167.232 ვარიანტი. 13-2 (თბილისი), 12-24. 11-167.

მე-13 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 20 აპრილიდან 20 მაისის ჩათვლით.

# „დიადი ზღვარი“ — „პარადოქსებით“ აღსავსე ხელოვნება

(გაგრძელება)

ბით არ იმძიმებს, — ეზიარება დე-ს, ანუ გასრულქმნილდება.

„არასრულქმნილი გასრულქმნილდება, მრუდი — განიმართება“ — განა ფუჭი სიტყვებია? იგი ნამდვილად მიუძღვის კაცს ჭეშმარიტი სრულქმნისაკენ.

ეს იდეა, რომელიც საფუძველია დაოსიზმისა, მეტად ახლობელი აღმოჩნდა ხალხისათვის და ფილოსოფიური მოძღვრება თანდათან უძლავრეს რელიგიად ჩამოყალიბდა, ხოლო მისი შემქმნელი — ლაო-ძი დღესაც ჩინელთა უდიდესი ღვთაებაა. ბუდიზმმა, რომელიც უმდიდრეს ინდურ კულტურაზე აღმოცენდა და იმდროისათვის უკვე საკმაოდ ძლიერი ტრადიციები ჰქონდა, არათუ ვერ შეძლო მისი დამარცხება და განდევნა, ან, თუნდაც შევიწროება, არამედ, ბრძოლა საბოლოოდ რომ არ წაეგო და ჩინურ ნიადაგს შეგუებოდა, მოუხდა ბევრი რამე გადმოეღო დაოსიზმიდან, ესწავლა მისგან. ასეთი შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა ე. წ. „ჩინური ბუდიზმი“ — ჩან-ბუდიზმი (ანუ „მჭვრეტელობითი“ ბუდიზმი). თავის მხრივ, დაოსიზმი, მიუხედავად იმისა, რომ გულუხვად გასცა ბევრი რამ რაციონალური, არ დაკნინებულა, არ დაუთმია თავისი პოზიციები: 1989 წლის მონაცემებით. სადღეისოდ, ანუ „კულტურული რევოლუციის“ შემდეგ, ჩინეთში არსებობს 100 დაოსური მონასტერი და მხოლოდ 45 — ბუდისტური...

ნიშანდობლივია, რომ დაოსიზმის თეორია განუყოფელია პრაქტიკისაგან. კერძოდ, მის წიაღში შეიქმნა ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ტრენინგის სისტემა, რომელიც მთლიანად „გაჟღენთილია“ ამ მოძღვრებით და მის ფიზიკურ ხორცშესხმას წარმოადგენს. ამ უნივერსალურ სისტემას, რომელიც ერთნაირად გამოსადეგია ნებისმიერი ადამიანისათვის, ვინც კი ჰარმონიული განვითარების გზას დაადგება — იქნება ეს საერო თუ სასულიერო პირი, მიწის მუშა, ხელოვანი თუ მეომარი, — ეწოდება ტაი-ცი ციუანი — „მუშტის (ფლობის) დიადი ზღვარი“.

ტაი-ცი ციუანი საბრძოლო ხელოვნებაა. წინა პუბლიკაციაში შევეცადეთ, მოგვეხაზა ის ძირითადი პრინციპები და ცნებები, რომლებიც აქ ფიგურირებს. ახლა ზოგ რამეს კონკრეტულად შევეხებით.

როგორც ადრე უკვე აღვნიშნეთ, ტაი-ცი ციუანში ფიზიკური ვარჯიშები „გარე“ მიმდინარეობის სახეობებისაგან სრულიად განსხვავებულ მიზანს ემსახურება და ეს მიზანია — გამოვიმუშაოთ უნარი ორგანიზმის ზედმეტი დაძაბვის გარეშე მოწინააღმდეგის შემოტევის „არეკვლისა“ და საკუთარი შეტევის განხორციელებისა ცი-ენერგიის გამოყენებით.

თითქოსდა ძნელი წარმოსადგენი უნდა იყოს, როგორ შეიძლება, მოვიგერიოთ ძლიერი მოწინააღმდეგის, მაგალითად მოკრივის, მოჭიდავის ან კარატისტის შემოტევა დარტყმების ბლოკირების, ან მოპირდაპირის შებოჭვის, ე. ი. მნიშვნელოვანი ფიზიკური დაძაბვის გარეშე.

ამას ერთადერთი, თუმცა გარეშეთათვის აგრეთვე ძნელად დასაჯერებელი, თითქოსდა პარადოქსული პასუხი აქვს: სისტემატური ვარჯიშით ისე უნდა სრულვყოთ ჩვენი რეაქცია, იმდენად დავხვეწოთ ტექნიკა, რომ მოწინააღმდეგისათვის (ან მოწინააღმდეგეებისათვის) მზის სხივივით მოუხელთებელი გავხდეთ და, ამასთან, მუდამ ხელმისაწვდენ მანძილზე ვიყოთ მისგან, რათა ნებისმიერ მომენტში თვითონ შევძლოთ შეტევის განხორციელება. ტაი-ცის ოსტატები ხშირად ურჩევენ თავის შეგირდებს — სირბილით, მოქნილობითა და ძალით წყალსა ემსგავსონ, რამეთუ „ცისქვეშეთში არაფერია წყალზე უფრო სუსტი და წყალზე უფრო რბილი. მაგრამ ძალუძს სძლიოს ყველაზე უფრო მაგარსა და ყველაზე უფრო ძლიერს“ (გავიხსენოთ ძველქართული დალოცვა: „წყლის ძალა მოგცესო...“).

კიდევ ერთი „პარადოქსი“: ასეთი, შეიძლება ითქვას, „ფანტასტიკური“ რეაქციის გამომუშავებისათვის ტაი-ცის ტრადიცია გვთავაზობს ერთადერთ და, ერთი შეხედვით, ძალზე ადვილად შესასრულებელ რეკომენდაციას: ნებისმიერი კომპლექსი, ფორმა და ცალკეული მოძრაობა ვარჯიშის დროს — სწავლების ნებისმიერ ეტაპზე — უნდა შესრულდეს ძალზე ნელა. მაქსიმალური ტემპი შეიძლება განვსაზღვროთ რომელიმე ფრინველის ბუმბულის, ან გაწეწილი ბამბის ქულის მეშვეობით: ხელის მტევნის გულზე ან ზურგზე დადებული ბუმბული ვარჯიშის შესრულებისას ადგილიდან არ უნდა დაიძრას, ხაზს ვუსვამ: ეს ყველაზე სწრაფი ტემპია, რომლითაც ტაი-ცის ვარჯიშები უნდა შესრულდეს; საერთოდ კი, რაც უფრო ნელა შევასრულებთ მათ, მით უკეთესია.

რა თქმა უნდა, რეაქციის განვითარების ეს მეთოდი სრულ წინააღმდეგობაშია ევროპული სპორტის კონცეფციასთან, მაგრამ ის, ვინც სერიოზულად მოჰკიდებს ხელს ტაი-ცის შესწავლას, უნდა შეეგუოს და მიეჩვიოს ასეთ „უცნაურობებსა“ და „პარადოქსებს“, უფრო მეტიც — იგი „ცარიელ ჭურჭლად უნდა იქცეს“.

> **ტაი-ცი ციუანის ლეგენდარული ტაივანელი დიდოსტატი, დოქტორი ჩუენ მანცინი (1900-1975)**
>
> **მან განავითარა სტილ იანის მოკლე ფორმა (37 პოზა), რომელიც გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და მიღებულ ფორმად, როგორც ტაივანზე, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და დასავლეთში. 60-იან წლებში მიწვევით იგი გაემგზავრა აშშ-ში, სადაც გახსნა მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი უდიდესი ტაი-ცი ციუანის სკოლა. მისი მოწაფეა დოქტორი ცზინ დაო-ძი (ვანკუვერი, კანადა), რომელიც ცნობილი ოსტატია, როგორც ჩინეთში, ასევე საზღვარგარეთ. ხოლო კიდევ მისი ორი მოწაფე: ოსტატი ტ. ტ. ლიანი (ბოსტონი) და ოსტატი ვილიამ ჩენი (ნიუ-იორკი), ახლა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მასწავლებლები არიან ტაი-ცი ციუანში ამერიკის შეერთებულ შტატებში.**

### იგავი პროფესორის და დიდოსტატისა

ერთხელ საკუთარი ღირსების გრძნობით აღსავსე სახელგანთქმული მეცნიერი ტაი-ცის ოსტატს მიადგა კარზე — ბოლო დროს ჯანმრთელობა შეერყა და მისგან უნდოდა რჩევის მიღება.

ოსტატმა მოწიწებით მიიღო სტუმარი, მოუსმინა მას, შემდეგ ჩაი შესთავაზა. სტუმარმა მადლობით მიიღო ეს წინადადება, მაგრამ გაოცდა: მასპინძელმა გამოიტანა ჩაით სავსე ფინჯანი და სანამ მას მიაწოდებდა, კიდევ დაიწყო მასში ჩაის ჩასხმა. ჩაი, რა თქმა უნდა, გადმოვიდა, დაიღვარა.

— რას შვრებით, პატივცემულო, ფინჯანი ხომ დიდი ხანია სავსეა. სადღა დაეტევა მთელი ჩაიდანი ჩაი! — შესძახა სტუმარმა.

— დიახ, სავსეა და თქვენც ამ ფინჯანს ჰგავხართ: აღსავსე ხართ თქვენი მეცნიერებით. სადღა დაეტევა ტაი-ცის სიბრძნე! — უპასუხა ოსტატმა.

ჭეშმარიტად, „ჭურჭლის არსს მასში მოქცეული სიცარიელე ჰქმნის“. ის, ვინც დიადი ცოდნის დაუფლებას გადაწყვეტს, ჯერ ცარიელ ჭურჭელს უნდა ემსგავსოს“.

ასე ამბობს აღმოსავლური სიბრძნე...

**იური ქეინიშვილი,**
**სპეციალურად „ლელოსათვის“.**

(გაგრძელება იქნება)

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## ნარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!

**21-23 აპრილს** სამტრედიაში ჩატარდება ტურნირი ნარდში „იმერეთის თასზე“.

რეგისტრაცია მიმდინარეობს სამტრედიის საჭადრაკო კლუბში 21 აპრილამდე 10-დან 21 საათამდე.

**საორგანიზაციო კომიტეტი.**

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალ ფრენბურთელთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდის მწვრთნელი

**ვიქტორ მახტერანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახავაშვილი, კორექტორები: მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54.
„მერანი“ — 98-97-26, „მართვე“ — 98-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, სოლომონი... 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20